ნეგნახმეიდანზე, შუააბაზრის თავში მარცხნივ თ. ლუარსაბ რეუთინსკის სახლში, № 2.

PJ 90 40 40 40 40 40

ედება "დნთება" "იკენიის" ნედაქციაში. განეშე дрозба" "Иверін"

"Დ**Რ**ጢᲔᲑᲐ"–"ᲘᲕᲔᲠᲘᲘᲡ" ᲤᲐᲡᲘ

წელიწადში. 6 თვეს. 3თვეს grand bodylo, who plaks or coll 5 jos. "azyhooks 2 lob.

สวาบ รวยการสมุนาวิวา come skanjana skarba 13 až., najnovječena k skandars karadas karadas skardas s

my beformande donorborgh, anostros geethorable pe geon stologodff modest colleg och foreste stologolale Thene follow by byposigos gradgeon 376 pospolago pol

astabsopas 4 -- opas Jskongob, kybyok oskbas jega-

1 ივლისიდამ წლის დამლევამდინ

୧୫0035

ထုဂ္ဂ်ေး ၁၂၈၈ ပြန်ရှတဂ

030605

m 0060 3060000

"Დ**ᲠᲝ** ᲔᲒᲐ" ᲓᲐ "ᲘᲕᲔᲠᲘᲐ" ᲔᲠᲗᲐᲓ

33060 9929000

(bsookons Jahab bsszzofomba)

ბმრლინი; 17 იკლისს. გუშინ Boნეთის ელჩი ცენგი. პეტერბურდისა-306 Pszocs.

უანდააგი, 17 იკლისს. ეიუმ-სანს ბერრაუზე თავს-დასხმის დროს 1200 კაცი ქუგანდა და 36 სარბასანი. გლისელებს წაართვეს ორი ზარბაზა-

აითი, 17 იკლისს. გუშინ ბუნგე პეტერბურდისაკენ წაგიდა თავის ადგილის დასაკაგებლად (ფინანსის მი-പ്രെത്രി ടിർട്ടുടെ).

ლონლონი, 17 იკლისს. სარწმუნო ცნობებიდამ სჩანს, რომ ინგლი. სის მმართებლობას გადაუწყვეტია მოსახმარებელი ჯარი რაც შეიმლება მალე გაგზავნოს ინდოეთში.

ამტერბურლის ბირშა, 13 ივლისს

(,, bs mbos Jahok og mjahsogob bssag bombo") മാട്യപ്പെ മന്ത്യത്യാർന് პირველი გამოცემისა $-\,-93\,-75$

agraphy - - - - 91-87 _ _ _ _ 93_50 aglodglo მეოთხესი - - - 92 - 87ბომოსავლეთის პირვ. — 90-75 ბომოსავლეთის მეორე -91-25ბომოსავლეთის მესამე -91-91MJmm, $\frac{1}{2}$ oddymnumn — 7-84

თფილისის საადგ.-მამ. ბანკის გირაოს ფურცელი შინაგანი 5% სესხის ბილეთები:

პირველი სესხის - - 223-50მეორე სესხის - - 222 - 75

1 მანეთი ლირს: ლონდონი — -25- " პენსი ზამბურლი — -214-25 ცენტი პარიჟი — — -265-75 სანტიმი — — — 129—50 პრენიგა პავკასიის კერასინი — — —

306dm 306lnm60an

ტთილისი, 18 იკლისს.

ჩვენი გაზეთის დღევანდელს ნომერში იბეჭდება მასწავლებლის ბ. 0. 3. როსტომაშვილი შენიშვნა საზოგადოთ კერძო პანსიონებზე და იმაზედ, რომ ის თელავში ერთს ამ გვარ 306 bom Ent gobb Est osomoble

სრული ჩვენი თანაგრძნობა გამოგვიცხადებია ამ სასარგებლო საქმეში ბ. როსტომაშვილისათვის; ჩვენ ვიცნობთ ბ. როსტომაშვილს, ვიცნობთ, നനുന്ന് ധാർാമാന്നാന 30താമുനുധ താ კეთილ-სინიდისიან კაცს, რომელიც ნაკისარ მოვალეობას ყოველთვის რი-

გიანად შეასრულებს და ამიტომ ვაცხაღებთ ამ თანაგრძნობას.

മാര്യാർ വിധ്യാന് പ്രത്യാർ വിധാര പ്രത്യാര wwwwou შენიშვნა, რომელზედაც სიტყვა უნდა ვსთქვათ.

ბ. როსტომაშვილი ამბობს: კერძო პანსიონების გამმართველნი ყოველთვის უკეთ წაიყვანცნ ამ საქმეს, ვიდრე სახელმწიფო. პანსიონების საქმე მიდისო, რადგან ეს კერძო პირები პანსიონის კარგათ გამართვაში, ყმაწვილების რიგიანად შენახვაში თავის სარგებლობასა და ინტერესს ხედვენო; თუ კარგი პანსიონი არა აქვთ. არავინ მიაბარებს თავის შვილსაო.

ambolingono, organiono gli domosლია: ყველა, ვინც პანსიონს მმართავს, თავის პირ-და-პირ სარგებლობას უნდა ხედავდეს იმაში, რომ კარგი, ყოელად სრული და უნაკლულო პანსიონი გამართოს; მაგრამ საქმით ნამდვილად კი, საუბედუროთ, უფრო ხშირად ამის წინააღმდეგს ვხედავთ: ერთი-ორი მაგალიოის გარდა, თითქმის ყველა ეხლანდელი კერძო პანსიონების პატრონები ყველაზე პირველად იმას სცდილობენ, რომ რაც შეიძლება მომეტებული შემოსავალი ჰქონდესთ ამ პანსიონებიდამ, რომელიც თითქმის დუქნათ გარდაუქცევიათ, სცდილობენ, რაც შეიძლება მომეტებული ააგლიჯონ თავის შაგირდების მშობლებს, სცდილობენ გიმნაზიის მასწავლებლების თავიანთკენ მიმხრობით და სხვა-და-სხვა ეშმაკობით, რომ ეგზამენი როგორმე დააჭერინონ ამ თავის შაგირდებს, და പ്യൂട്ടുത്താര് സ്ഥര് നായിച്ച്, ത്നു ക്കം, പ്ല

იძენენ ისინი კეთილ-ზნეობას და რიgood bolinson odson dobling To, - salst ാന താളന്തുപ്പൂര്.

საუბედუროთ, ჩვენი მშობლებიც იმდენათ განათლებულნი არ არიან ჯერ კიდევ, რომ შეუცდომლად გამოიცნონ — რომელს პანსიონში ასწავლიან და ზრდიან ყმაწვილს კარვათ და რომელში არა, რომ შეიტყონ რომელი პანსიონი აყენებს შაგირდს კეთილს, კაცობრიულს გზაზედ და რომელი მრუდე გზაზედ. ოლონდ ყმაწვილი სუფთად ჩაცმული და მაძლარი იყოს პანსიონში, ოლონდ როგორც იქნება ეგზამენი დაიჭიროს და lbgsl shal amlobergge shy ognome ყმაწვილსა და არც იმის ამზრდელს 305 bom 56.

ბმ თავითვე დარწმული ვართ, რომ ბ. ი. როსტომაშვილის თელავის პან-Lombo sagson soblombjob on gabasgსება; ამიტომაც თამამად ურჩევთ კაbamagh: and short ago or ago ლები და დარწმუნებული იყენენ, რომ იმათ შვილებს კარგი პედაგოგი და კარგი კაცი ეყოლება ყურის-მგდე-

ჩვენს ქალაქში სხვა-და-სხვა ავათმყოფობა გახშირდა. პანსაკუთრებით ყმაწვილები ავათმყოფობენ და ბევრიც იხოცებიან. ამბობენ, რალაც მოარუma shalm.

ბმის მიზეზი, უეჭველია, სიცხე და ხშირად ჰაერის შეცვლაა.

სი ჰმართებთ ამათ მხიარულება: ამისთანა ჩინებული, უხვი პური ათ წელიწადზე მეტია არ გვინახავსო, ამბობენ გლეხები. სამ წელიწადს მაინც გეეყოფა წლევანდელი პურიო!

"ქართველი გლეხი ზარმაციაო!" ბმბობენ ზოგიერთი ეაჟბატონები angrossos of, bobas - magan შაობს ამ გაგანება სიცხეში ეს გლეხი, ნახონ — როგ არ ღვითქით ჩამოსდის იმას მთელ ტანზე ოფლი,—და მერე ბრძანონ, ზარმაციაო!

მაგრამ იმისთანა მდგომარეობაში მყოფ ხალხს, როგორშიაც ჩვენი გლეხია, მართლა რომ გული აცრუებულიც ჰქონდეს მუშაობაზედ, ვერ გავამტყუვნებ: ძაცი დილიდამ საღამომდინ მუშაობდე, წვალობდე, შროandrog co damal Foba, had gl შენი შოომისა და ოფლის ნაყოფი ან ვაჭარმა ჩაილაგა, ან ბატონმა მიირთვა, ან მღვდელმა წაილო, მოდი და ნუ აგიცრუვდება გული

მუშაობაზედ, ქირნახულის მოყვანაზე! ბასაკვირველია კიდევ, ღმერთმანი, ქართველი გლეხის ენერგია, იმის მოთმინება და მხნეობა...

როგორც თელავი სიღნაღზე უფრო ლარიბია, ისე საზოგადოთ ასხეთის გლეხი ქიზიყელზე. ბმის მიზეზს ღვინის მოუსვლელობას ამბობენ: ასხეთი ღვინით ცხოვრებს და რადგან ამ უკანასკნელ 25 წელიწადში ღვინო

მაგრამ ზოგიერთ გლეხებს მაინც ძალიან მდიდრებს ამბობენ. შეარელში არის ერთი გლეხი, რომელსაც თითქმის საუკეთესო სახლი აქვს მთელს სოფელში, კარგათაც მოწყობილი, და რომელსაც ნახევარი ბაზარი ეკუთვნის. შილდის გლეხებს ამბობენ ძალიან შეძლებულებს, რადგან იქ ღვინო არ ფუჭდება ნ ცრითაო.

Formy you sight, hold of youngs and 5 ივლისამდინ, ვენახს არსად არ ჰქონ-

30

6790 330K9 396800.30

(გაკვრითი შენიშნკები მოგ ზაურისა)

თელავი. საკუთრივ კახეთი.

სოფელს ისე ვერ შეხვდები ძახეთში, რომ ციხე და კოშკი არ დაინახო. ციდამ ჩამოვადნილი კაციც რო მოიყვანოთ აქ, ისიც კი მიხვდება, რომ ეს ქვეყანა მუდამ მტრისაგან შიშში და სამხედრო საქმიებში გართული എർ രാ പ്രത്യാധ്യാപ്പുവം

മാര്യന്നു വാര്യന്ത്ര പ്രാവരം როდესაც მკაზე ან რთველზე გამოსულს მუშა კაცს ხელში თოფი უნდა სჭეროდა. ბხლა აქეთკენ შიშიანობა smoh shob.

და არა თუ შიშიანობა, თელავისა და საზოგადოთ პახეთისთანა მშვიდო-

ბიანი მხარე სხვა არ მეგულება ჩვენში. ბთასში ერთხელ თუ მოხდება სადმე ქურდობა ან სხვა რომელიმე ცუდ - კაცობა, ისიც უფრო ხშირად გამვლელ თათრებისაგანო. შეარლის პრისტავმა დამარწმუნა, რომ მთელი შარშანდელის წლის განმავალოგაში მხოლოთ ერთი ქურდობა მოხ დაო, მხოლოთ ერთხელ შემხვდა იმისთანა საქმე , რომლის თაობაზედ აქტი უნდა შემედგინაო; წელსაც ჯერ ერთი პროტოკოლის მეტი არ შემიდ-

მთელს გზაზე, ყანებში გაცხარებული მუშაობაა. პურის მკის დროა. boსიამოვნო სანახავია ეს წითელ ხელსახოცებით თაე-შეხვეული ხალხი, რომელიც ჩამდგარა ზღვასავით აბიბინებულს, გადაყვითლებულს ყანაში, დასძახის მუშურს სიმღერას, ღვითქით ოფლი მოსდის და ჯარასავით დატრიალობს პურში მხიარულად მუ-Bombl.

პი ამისთანა დროს, როდესაც გახშირებული სიკვდილი და ავათ-მყოფობაა, გრძნობს ყველა ექიმების
რიცხვის სიმცირეს ქალაქში. მართალია, ექიმები ბლომათ არიან, მაგრამ
ღარიბი ხალხი ამათ ვერ მიუდგება:
თითო ვიზიტში რომ ღარიბს ექიმმა
სამი-ოთხი მანეთი მოსთხოეოს, ამისთანა ექიმი ღარიბისთვის თუნდა არ
იყოს, სულ ერთია.

მალაქის თვით მმართველობაა პირდა-პირ მოვალე, რომ ხალხის ჯანმთელობისათვის იზრუნოს, ექიმი დაიქირავოს, სამუდამოთ თუ არა, ამისთანა დროისათვის მაინც.

* *

ჩვენ გვაცნობებენ, რომ პალიუჩი ბალკიდამ ერთი დედა-კაცი დაკარგუ-ლა ამ დღეებში, რომელსაც რამდენიმე წვრილ-შვილი დარჩენია. ბმბობენ, სიღარიბეს გაექცა, ლუკმა პური არ ჰქონდა, პატარა შვილებისათვის ექმია. ბევრი უძებნიათ ქალაქში ეს დედა-კაცი, მაგრამ ჯერ-ჯერობით ვერსად უპოენიათ. ჰფიქრობენ, რომ მტკვარში დაიღრჩო თავი. იმის შვილები მეზობლებს აუყვანიათ და არჩენენ.

გაზ. "პავკაზი" გვაცნობებს, რომ მომავალ შემოდგომისთვის თვილისში იხსნება კერძო საავათმყოფო, რომ-ლის გამმართვა განუზრახავთ ექიმებს: ნავასარტიანცს, უშაკოვს, პავლო-ვსკის, რუდკოვსკისა და შახ-ბზიზოვს. ექიმი უშაკოვი გამგებელი იქნება ამ საავათ-მყოფოსაო.

ჩვენ შევიტყეთ, რომ ამას გარდა დოქტორი ქიუჩარიანცი ჰმართავს აგ-რეთვე ცალკე კერძო ხირურგიულ საავათმყოფოს სოლოლაკში.

* *

პლადიკავკაზის მაზრის იმ სოფლებიდამ, სადაც ქართველები მოსახლობენ, როგორც მაგალითად დარიალის ხეობიდამ და ქართველ მთიულებისაგან საჩივარი მოგვდის, რომ ჩვენკენ ისეთს მღვდლებს გზავნიან, რომელ-

და ნაცარი; მაგრამ რაღაც ბურუსი იდგა მთელს ბაღმა-მხარზე და ზო-გიერთები ამტკიცებდნენ, რომ ამ ბურუსს თუ წვიმა მოჰყვა, უეჭველად გაჩნდება ნაცარიო. მაგრამ ხალხი, კარგის პურის მოსავლით, იმდენათ გამხნევებულია, რომ ერთობ მომეტებულად არ ინაღვლებს, თუ ბევრი ღვინო არ მოუვიდა...

რაც უნდა დაღონებული და ჯავრიანს გუნებაზედ იყო. გული გაგიმხიარულდება, როდესაც ჰხედავ პურის ძნებით გატენილს ურმებს, რომელსაც ორი-სამი უღელი ხარ-კამბეჩი ძვლივს მოათრევს მინდვრიდამ, როდესაც ჰხედავ საღამოს შინ დაბრუნებულ გლეხებს,რომელნიც,მხიარულად, უდარდელად და მადიანად მღერიან და ამ სიმღერით შემოდიან სოფელ-

თუ თქვენ, თითქმის გარეშე კაცი, მხიარულობთ, როგორ არ გამხიარულდეს გლეხი, რომელსაც თავის

თაც ქართული არ იციან და ამიტომ წირვა-ლოცვა მოსპობილი გვაქვსო. 3ლადიკავკაზის ეპისკოპოსთან ვიჩივლეთ რამოდენიმეჯერ; მაგრამ ჩვენი საჩივარი ყურადოებაში არ მიიღოვო.

მრთი ახალი წიგნის მაღაზია შეემატა ამ დღეებში ჩვენს ქალას, სახელად "ბრარატი", რომელიც ვიღაც სომხებს გაუხსნიათ კუკიის ხიდზე და რომელშიაც ჯერ-ჯერობით **M**ღლან-**M**ღლანების უაზრო ბრო შურების მეტი არა მოიპოება-რა.

"Დ**ᲠᲝ**ᲔᲒᲘᲡ" ᲙᲝᲠᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲪᲘᲐ

ბურია, 10 იკლისს. ამ უკანასკნელ დროს ძლიერ გახშირდა ბურიაში კაცის კვლა, ცარცვა და ქურდობა. ხუთ ამ თვეს ჯუმათის და ძიმითის საზოგადოების სამზღვარზედ, სოფელს ბაილეთს, მოჰკლეს ღამით თავის დუქანში ერთი ახალ-გასდა ვაჭარი — თათარი ახმუდა მერეჯ-ოლოი და მისი 3ho watho so Oshhow; Formors confნიდამ 500 მანეთის ფული და საქონელი. ამის თაობაზედ არის ფიცახელი გამოძიება და რამოდენიმე კაცები დაჭერილნიც არიან. ბმაზედ ძლიერ მეცადინეობენ უეზდის უფროსის თანა შემწე თ. ა. ნაკაშიძე და პოლიციის პრისტავი ი. დუმბაძე, მაგრან გამომეძიებელი ბ. შედლოვსკი ძლიერ გულ-გრილად ჰკიდებს ხელს გამოძიებას, რადგან ამ დღეებში ვილამაც წიგნი შეუგდო სახლში ავაზაკების მაგიერ ამ სიტყვებით: "ბაჩერდი, მაგრათ ნუ ჰკიდებ ხელს გამოძიებას, თორემ კარგს არ დაგმართებთო". ამ წე-

თთ გამომეძიებელი თავის მოვალეობას რიგიანად ვერ აასრულებს, სხვამ რა უნდა გააკეთოს და ამ ნაირად თანდა-თან იმატებს ავ-კაცობა.

ამას წინეთ, შვიდ ივლისს, **ო**ზურგეთის ერთი ვერსტის სიახლოვეს სალამოს ხანად დახედნენ გზა'ში ავაზაკი

დაუღალავი შრომის დაჯილდოებას ეღირსა, რომელიც გრძნობს, რომ, ამ საძაგელ გავლილ წელიწადის შემდეგ, ცოტათი მაინც სულის მობრუნება, მტრისა და მოყერის პასუხისგაცემა შეუძლიან?

დიდი, დიდი რამ არის, ყველაფერია გლეხისთვის კარგი მოსავალი; მთელი იმის არსებობა ამ მოსავალზედ არის დამოკიდებული. წელს ბლომათ პუ-რი მოუვიდა, ბლომათ და კარგ ღვინოს მოელის და მოდი და ნუ იმხია-რულებს! მოდი და ნუ იმღერებს, როდესაც იმედი აქეს, რომ უჩაფრებოდ, უ-"ზეკუციოთ" ხელმწიფესაც გაისტუმრებს, ბატონსაც, მღვდელსაც და არც ვაჭრისაგან ვალის აღება დასჭირდება. მესმის ეს მხიარულე... ბა!..

4 ამ თვეს მე გამოვეთხოვე ძახეთს და ბომბორის გზით დავბრუნდი თვილისისაკენ.

ამპობდნენ და მართლა მშვენიერი ჩანსო.

თათრები ერთ აქაურ მცხოვრებს, ა. სურგულაძეს, ესროლეს ორი თოფი და დასჭრეს სასიკედინეთ მკერდში. პიდევ კარგი რომ, ქალაქის ახლო მოხდა ეს შემთხვევა, მალე გააგებინეს პოლიციას და გამომეძიებელს პუზმინსკის და პოლიციის პრისტავის თანა-შემწეს ბოგიტიძეს. პუზმინსკი შედლოვსკისავით არ ყოფილა მოშიშარი, იმავე წამში წავიდნენ დაჭრილთან, გამომეძიებელი და უეზდის უფ-നമ്പാര മനാരുന്നു ത. മാ്യാന്റർറ്റ, മനമრიგებელი მოსამართლე ბ. ბაბინი და სხეანი და მოახდინეს ფიცხელი განკარგულება ავაზაკების დაჭერისა; გამოაკიდეს ავაზაკ თათრებს პრისტავის თანამემწე ა. ბოვიტიძე ყაძახირუსებით, მამასახლისით და მარჯვე დაიარაღებული ოცი ბიჭებით რომლებმანც მეორე დილით მოიყვანეს თოკებით შეკრული სამი ავაზაკი, ორი თათარი და ერთი გურული, რომელნიც ამ ჟამად დატყვევებულნი არიან. മാൂന്നെ ജൂന് ചന് മനമുള്ളാനം.

მარტო დუაბზუის სოფელში ამ ორი თვის განმავალობაში 18 ცხენია მოპარული. ძლიერ ცდილობს ადგილობრივი ადმინისტრაცია, რომ ქურ დობა მოსპონ, ხშირად ახდენენ ყრილობას, მაგრამ მარტო ამარ რა უნდა გააკეთონ თუ სხვა შემწეობას არ მისცემს? იციან ნამდვილად, რომ **~**უაბზუის, საზოგადო.ებაში მრავალი ქურდები არიან, მაგრამ ისევ მცხოვრებლები ფარვენ და მთავრობას არ აძლევენ. რადგანაც იციან, რომ, თუ აღმოაჩენენ ქურდებს და მისცემენ მთავრობას, ზოგიერთ აზნაურიშვილების და თავადისშვილების წყალობით, ამ ქურდებს მალე გაუშვებენ, ითავდებებენ და მაშინ ის ქურდები უვარეს უზმენ იმათ, ვინც ისინი ქურდათ გამოიყვანა. ბმისათვის არ იციან რა 3556.

საზოგადოთ ხალხში ამ სიტყვებს გაიგონებთ: "პრა გაქვს-რა და შიმშილით მოვკვდები; თუ გაქვს კაცს შიშში უნდა კვდებოდე. როდის მოგკვ-

რამ ყოფილა ბომბორის გზა თელავიდამ დაწყებული თვით ქედამდინ, უმაღლესს წვრტილამდინ, მშვენიერი გზა-ტკეცილი, თუმცა სულ აღმართია, მაგრამ ტარანტასი თავისუფლად მიგორავს. ბოგირები და პატარა ხიდები—სულ რკინისა.

პრთ რამედ ღირს ბომბორის ქედიდამ გადახედეა უკან და გადმოხედვან წინ, ძალაქისაკენ. მშვენიერ სურას წარმოადგენენ ეს ამართული,
ერთი-მეორეზე მოყოლებული მთაგორები, მოსხლეტილი სიპი ქვის
კლდეები, ქვევით თვალ-ჩაუწედენელი ხევები, სადაც ლენტივით მოჩანან პატარა მდინარეები; მშვენიერი
საბალახე ადგილები, ზედ უანგარიშო
საქონელი, გაუვალი ტყეები, ყანები
და სხვ. და სხვ. წინ სულ დაბლობი
და დაბლობი, თვით მტკვრამდინ;
ამბობენ, როცა მოწმენდილია ცა,
ამ ბომბორის ქედიდამ თვილისი მო-

ლენ, როდის გაგეძარცვენ არ ვიცით დღე და ღამ შიშში ვართ

ბურიაში წელს მოსავალი თუმცა კარგია, მაგრამ ბევრ ალაგს ყანებში გაჩნდა რაღაც შავი მატლი და სულ აფუჭებს სიმინდს და ღომს; ფურცლები სულ დაკორტნილები აქვს ზოგიერთ ყანებს. ბანკარგულება ჯერ არ მოუხდენიათ. მხოლოდ ჩვენი ხულცები ცდილობენ ძურთხევანის წაკითგანდევნონ ეს მატლები.

ठेगुलिगुक्तत.

30560000 000003300

მოსწავლე ყმაწვილებს თითქმის ხუთმეტ და მეტ წლოვანებამდე მუდ-მივ დაუღლელი ყურის-მგდებელი, ხელმძღვანელი და მასწავლებელი ექირება. ბმათ ექირება ეს მასწავლებელი არათუ მხოლოდ კლასში გაკვეთილების გასაგონათ და მისაცემად, არამედ და უფრო მეტათ კლასებს შემდეგ (შუადღის შემდეგ), როდესაც შაგირდები შინ ბრუნდებიან და ახალი გაკვეთილები უნდა მოამზადონ, სხვადა-სხვა წიგნები იკითხონ და დანარ-ჩენი თავისუფალი დროც წესიერად და სარგებლიანად მოიხმარონ.

სამწუხაროდ, მომეტებული ნაწილი ჩვენი სამაზრო ქალაქების სასწავლებლებისა ასე არიან მოწყობილნი, რომ მუადღის შემდეგ მოსწავლე სრულიად ღეთის ანაბარაზეა მიგდებული; ამას კიდევ ვინ იჩივლებდა, რომ მხოლოდ ყოვლად წმინდა ღეთის ანაბარაზე იყოს მიგდებული: საქმეც იმაშია და სამწუხაროც ის არის, რომ ყმაწვილი მიგდებულია ათას გეარ მავნე გარემოებათა ანაბარაზე, რომელთა წყალობით მოსწავლეებს სრულიად პირიქითი აღზდა, სწავლა და მიმართულება ეძლევა.

იმათ კიდევ რა უჭირთ, ვისაც შშობლები შიგ იმ ქალაქში ჰყავთ, სადაც თვითონ სასწავლებელი იმყო-ფება! რა უნდა ქნან იმ მოსწავლეებმა, რომლებსაც მშობლები რამოდენიმე

მედიდამ რო გადმოდიხარ ჯოჯოხეთის გზა იწყება. ტარანტასით კი არა, მგონი ცხენითაც გასაჭირი უნდა იყოს ამ შეუმუშავებელ გზაზედ მოგზაურობა. მადლობა ღმერთს კიდევ, ჩვენ დროს გზისთვის კარგი ამინდი იყო, თითქმის ერთის თვის განმავლობაში აქეთკენ წვიმა არ ყოფილიყო, თორემ ვერ წარმოვიდგენ, თუ ერთი პატარა წვიმა მოვიდა და ატალახიანდა, რა უნდა იყოს მაშინ ეს გზა!

დილას გამოკელით თელავიდამ და ლამე სოფ. ბომბორში გავათიეთ. დიდი განსხვავებაა ჩვენსა და ამ გა-დამდგარ რუსის სალდათების სოფელს შუა: ჩინებული, სუფთა სახლ-კარი აქესთ, ბლომად პირუტყვი, ცხენები, ფურგუნები და სხვ. ამბობენ ესენი ერთი-ორად უფრო შეძლებული არი-ან, ვინემ საზოგადოთ ჩვენი სოფლის ხალხიო.

რისგან არის ეს? მიზეზი ბევრია;

3

ათის და ზოგჯერ ასი ვერსის სიშორეზე ჰყავთ და რომელთაც (მშობლებმა) მაშასადამე ძალა-უნებურად
თავიანთი შვილები უნდა მიაბარონ
ხოლმე, პანსიონის უქონლობისა
გამო, სხვებს, ქალაქში მცხოვრებლებს, მომეტებულად დარიბებს, რომელნიც საკუთარი თავის გამოსაკვებავად მუდამ მზათ არიან მცირედი
ფულით მიიბარონ და სადაც, ეს ნორჩები სანახევროდ მშივრები იხოცებიან.

ამაებს კიდევ ჯანი გავარდეს, თუ ამ საწყლებს მშობლურ მოვლას, ხელმძღვანელობას და ალერსს არ მოაკლებდნენ! მაგრამ რომ არც ეს არის და ხშირად პოსწავლე უსაქმობის და ცუდი მაგალითის მეტსა ვერააა ხედაეს?!

ბი ამ გვარი მშობლების შვილებისათვის აუცილებლათ საჭიროა, რომ შკოლებთან მთავრობამ დააარსოს პანსიონები, სადაც შორეულ მშობლებს შეეძლოთ თავიანთი შვილების მიბარება და წესიერად გამოზდა.

მს რამოდენიმე წელიწადია, რაც ჩვენს სამოსწავლებო მთავრობას განძრახვა აქვს გახსნას პანსიონი თელაgol bodan jama ja byamabonot, doghod zoh shuse shou. Dzhongo coco bsნია, რაც თელავის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველი ნ. მ. დაუღალავად ცდილობს ყმაწვილები--meter dadmonddes godenes be dogoed ത്യാധ ധാധ്യന്ത്രവുന്ന ധ്യന്ത്രാപ്രാര്, നന്ദ്ლისთვინაც სახლის აშენება, როგორც ამბობენ, უკვე უკისრნია სამღვდელოებას. მავრამ, რადგანაც ჯერ ამ ორივე სასწავლებლების ცდა, ვინ იცის, როდის დაგვირგვინდება, ამიტომ, ჩემის ფიქრით, ამ შემთხვევაში, კერ– ძო პირები უნდა გამოსულიყვნენ ასპარეზზე და თვითონ დაეფუძნათ საკმარისი რიცხვი პანსიონებისა. მგონია, რომ ცოტა მეტი გარჯვა და შოომა დიდს ხეირს მისცემდა, როგორც თვით იმათ, ვინც ამ საქმეს

მაგრამ უმთაერესი კი ის, რომ ამათ ჩეენებურ გლეხსაეით ორმოცი ბატო-ნი და ორმოცი არა ჰყავთ. ხარჯს ცოტას იხდიან და მომეტებული ნაწილი თავისი შრომის ნაყოფიც თავისთვის რჩებათ.

მთელი ეს გზა, გომბორზე გომბორს აქეთ, განსაკუთრებით თვალუწვდენელი და მგზავრისათვის გულის მემაღონებელი მუღანლის უდაბნოს მინდორი საესეა ახლად მოთიბულ აბრეშუმსათვით რბილ, მშვენიერ ბალახით. სხვა სიკეთესთან აქეთ მხრით თივაც დიდ-ძალია წელს. უხაროდეს საქონლის პატრონს. მაგრამ კარგი იქნება, რომ ჩვეულებრივად არ მოიქ-<u>ცეოდნენ ისინი; ზამთრისთვის თავის</u> პირუტყვის საკვებს მისხლობით აწონილს ნუ შეინახვენ, მოკლე ზამთრისა და შემდეგ ნეკერის იმედი ნუ ექნებათ; თორემ ვინ იცის, იქნება წელსაც ისეთი საძაგელი ზამთარი გვეწვიal, hagama Boh Bot.

ხეირიანად დაიწყობდა, აგრეთვე თვით მოწაფებსა და მათ მშობლებსცა. მს საქმე განსაკუთრებით ძლიერ და კარგად შეეძლოთ ეკისრად თვითონ მასწავლებლებს, რომელნიც იმის მაგიერ, რომ იბარებდნენ ორიოდ-სა-Togohools, როამელთათვის ashigs doonly griffing shy in mohl, (სიცოტავისა გამო), ვამბობ, უბჯობესი იქნებოდა ცოტა მეტი გარჯი ლიყვნენ და კერძო პანსიონები დაეფუძნ. თ ოცი, ოც-და-ათი შაგირდით. **ა**მ პანსიონებში შაგირდებს ექნებოდათ უკეთესი ბინაც, უკეთესი ჭამასმაც და ყველაზე კარგი რაც არის უკეთესი და წესიერი მოელაც და ხელ - მძღვან ელობაც გაკვეთილების baznonbazn წიგნების მომზადებაში, კითხვაში და სხვა ყველაფერმიაც.

ამ გვარი პანსიონები მუდამ უფრო კარგად იქნებიან მოწყობილნი და დაყენებულნი, ვიდრე სახელმწიფო პანსიონები, რადგანაც ყველა კერძოთ დამწყობი ამ საქმისა, უფრო კეთილ-სვინდისიანათ ეცდება პანსიონის საქმის მორთვას, რომ სახელი არ გაიტე-ხოს საზოგადოების წინაშე და მით ზარალი არ მოუტანოს თავის საქმეს.

დასასრულად, რომ წესიერი ხელმძღვანელობით აღზდაში და სწავლაში ავარიდო მოსწავლენი იმ გამფუჭებელ უსაქმობას და უსწავლელობას, რომელშიაც ეს ქორფები იმყოფებიან ხოლმე სკოლიდამ სახლში
დაბრუნების შემდეგ, თვით მე ეხსნი
ერთ ამგვარ პანსიონსა თელავის სკოლებში მოსიარულე შაგირდებისათვის
და მსურველთ ვთხოვ მაცნობონ
წერილით ანუ პირის-პირ მოლაპარაკებით.

მასწავლებელი ი. 3. როსტომაშვილი თელავი 15 იკლის.

₹ᲔᲠᲘᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲗᲐᲜ

ბატონო რედაქტორო! იძულებული ვარ მოგმართოთ თქვენვე და გთხოვთ ადგილი უბოძოთ ამ ჩემს პაწაწკინა

მეორე დღეს, 5 ივლისს, მე ჩამოველი ამ ჩვენს მტვერიანს, ადუღებუღს, მაგრამ მაინც კიდევ საყვარელს თფილისში.

პარგის შთაბეჭდილებით მოედივარ შე პახეთიდამ.

ჩინებული, ბუნებისაგან უხვად შემკობილი ქვეყანა, ქვეყანა, სა-მოთხის კუთხე, ქვეყანა, რომელსაც, როგორც ერთხელად ვსთქვი ამ წერილებში, გარემოება რო ხელს უწყობდეს, მთელი ჩვენი ქვეყნისა დარჩენა შეუძლიან პურ-ღვინითა და იმდენი კიდევ დარჩებოდა, რომ სხვა ქვეყნებისთვისაც ეზიარებინა.

ჩინებული, მშრომელი, გულ-ღია, საყვარელი ხალხი, ხალხი, რომელიც უკეთესის ბედის ღირსია, რომელსაც გარემოება, რომ ხელს უწყობდეს, მომეტებული კეთილდღეობისა, განათლებისაც და ყოველგეარ წარმატებისაც ეძენაც შეეძლო.

პასუხს თქვენს პატივცემულს გაზეთს "Დროება"–ში.

ჩემი პასუხი ეს გახლავთ: "ლროების" ამა წლის № 138-ში ერთს
კორრესპონდენტს უცნობებია თქვენთვის ახალი ამბავი სიღნალის ადვოკატების ურიკობაზედა. უნდა მოგახსენოთ, რომ მე ამ შენიშვნის კითხვის დროს ვფიქრობ შემდეგსა: ბატ.
კორრესპონდენტი ან ძალიან ზარმაცი და ცრუა, ან ისეთი ფილოსოფოსი, რომ იმის ქკუის ძალა ვერ გაგვიგია!.. მაგრამ ნიშნებით პირველი
უფრო ნამდვილია...

ბმ ჟამათ სიღნაღში ორნი ვართ ადვოკატნი და თფილისის ოკრუჟნის სუდიდამ მოწმობაცა გვაქვს. რა კი ასოები ა. ს—ის შემეხება მე, ამ მიზეზით საჭიროთა ვხედავ ვაცნობო კორრესპონდენტს, იმ დარბაისელ რომ თავის შენიშვნაზედ ძალიან შემცდარი ბრძანდება, იმიტომ რომ, თუ მე უცოდინარი და უთავბოლო მოლაპარაკე ვიყო, ოკრუჟნის სუდის სოვეტი მოწმობას არ მომცემდა ეგშემდეგა. ჩვენი ზამენის დაჭე**რ**ის მომრიგებელი მოსამართლე ძალიან ზრდილი და ნასწაელი ბრძანდება, რომ იკადროს იმ გვარათ გაუპატივრება ვისიმე, საქმის გარჩევის დროსა, თუნდ რომ კაცი იმ სიტყვების ღირსიც იყოს. დასამტკიცებელად მემოწმათ მოვიწვევ ჩვენს სუდიას და თუნდ დანაშთენთ აქაურთ მსაჯულთაცა. ძაბინეთში ეს შენიშვნა მე თითონ წაუკითხე წერეთელს და ჩერქეზოვსა და ეხთხოვე მოგონება იმ სიტყვების ortant communes desprise en esten 30სუხი:

— "**დ**აწყნარდით. პრაფერი ამ გვარი არა ყოფილა და ვერც მოხდებოდა."

ხშირად ისეც მომდის, რომ სუდია ჩემ ზემოდამ დაწყობილ საქმეებს ხან შუა წელში მოაქცევს, ხან კიდევ სულ ბოლოს, და მე მიზეზს რომ ვკითხავ, მიპასუხებს: "მე მსურს მეტ ხანს აქ შაგინახო, რადგანაც ბევრს

შველაზედ უმთავრესად ერთი რამ აბრკოლებს ამ ქვეყნის მატერიალურ და ზნეობით წარმატებას; ეს ირთი რამ არის — უგზოობა. რად უნდა ხალხს უხვი მოსავალი, თუ ნახევარ-საც რიგიანად ვერ მოიხმარს, თუ მე-სამედითაც ვერ ისარგებლებს?

თქვენ წარმოიდგინეთ კახელი მემამულისა და გლეხის მდგომარეობა:
დიდი მოსავალი მოუვიდა; თუ კი
გზა არა აქვს, რომ წაილოს და გაასალოს სადმე, თუ კი ღვინო ქვევრებში
გაუფუჭდება და პური ორმოებში,
თუ კი რაც მომატებული აქვს, ფულად ვერ აქცევს, ან ერთი რად უნდა,
ან მეორე? მოდის სომეხი-ვაქარი და
ღვთისაგან უხვად ნაწყალობები ღვინო და პური თითქმის მუქთად მიაქვს,
ის მდიდრდება, კახელი კი პირ-ლია
რჩება!

3ერ წარმოვიდგენ იმ კეთილდღეობასა და წარმატებას, რომელიც მიეცემოდა ძახეთს, აქეთკენ რომ

ხალხს იცნობ, ხათრსაც [შეგინესამტნ ქ კ ე და აგებ ზოგიერთი საქმეები შინაურულად და მშვიდობით გაათავებინოვო (?!!)." თუ ვეჯავრები, მაშ დიდ-ხანს
რაღათ მინახამს სუდში და ამ გვარ
წინადადებას რათ მაძლეეს?

პეელას მოეხსენება, რომ სასამართლოებში საქმეები ზოგნი მოიგებიან
და ზოგნი ვერა, და ეგ მთელხმელეთის ვექილი კი თხოულობს, რომ
რაკი ვექილმა საქმე აიღო, კიდეც
უეჭველად უნდა მოიგოსო, თუ გინდა გარჩევის დროს აღმოჩნდნენ ისეთი გარემოებანიც, რომელნიც განრჩევამდის თვალ-წინ არა ყოფილან!

რა კი თითონ მჭევრი მოლაპარაკეა და მე ეერ უპასუხებ, ამისათვის ამის სამართალს ესთხოვ პატივცემულს მკითხველს...

მე ვსთხოვ ჩემს განმდევნელს მომაგონოს: ვისი საქმე იყო ხუთი თუმანი რომ ავიღე, ან როგორ წავაგე? რომ მეც შემეძლოს რიგზედ პასუხი მიუგო; მხოლოდ ვიტყვი, რომ მე ამ გვარი საქმე არ მქონია, თუმც საქმეები, ჩემიცა და სხვათაც ბევრი მაქვს და ამათში ხოგს ვიგებ და ხოგს ვერა. საცხოვრებელიც ჩემს კვალად საკმაოთა მაქვს, რომ ისებოროტოვნებით არ შევიძინო ფული! ჯერ მე ჩასტნი პოვერნიას (?) რომ ასე მემუქრება, მაშ იმას რომ ნება მიეცეს, სპასოვიჩს ხომ სრულიად აუკრძალავდა ადვოკატობასა, რადგანც ის პეტერბურღიდამ მოიწვიეს და თვილისის სუდებნის პალატაში ვერ გაამართლა თავის მარწმუნებლები ანდრეევსკის ქალის გაფუჭების საქმეში და დიდი სუმმა ფულები კი წაილო!

ასე, ჩემო კორრესპონდენტო! მე თქვენ გირჩევთ, რომ დღეის შემდეგ ან სიმართლით ემსახუროთ თქვენს დავალებასა და სწეროთ უფრო სხეა კეთილ-საიმედო და საჭირო სასარგებლო საზოგადოებისათვის საგნებზედა, ან კიდევ სულ თავი დაანებოთ

რკინის გზა გაეყვანათ. 3ინ იცის — რამდენი შეემატებოდა ამით თვით ხაზინასაც, ამიტომ რომ ხალხის სიმ-დიდრე—ხაზინის სიმდიდრეა; დარწმუ-ნებული ვარ, რომ რამდენიმე წლის განმავალობაში ძახეთს ვეღარ იცნობ-და კაცი, ისე გაკეთდებოდა, ისე გამ-დიდრდებოდა.

, მაგრამ აქაც ბედმა უმუხთლა ქახეთს... რკინის გზა უდაბნო ალაგებზე გაიყვანეს და ეს ღვთისაგან დალოცვილი ქვეყანა და ხალხი კი ასე დააგდეს...

ამბობენ, რტო უნდა გაიყვანოე ძახეთზე რკინის გზისაო. მაგრამ ერთი რომ ვინ იცის—როდის გაიყვანენ ამ რტოს; და მეორე, რტოს თავის დღეში არ ექმნება ქვეყნისათვის ისეთი მნიშვნელობა, როგორც თვითონ მთავარ გზის ლინიას...

b. a.

(plsbengen)

და არ გააჩირქიანოთ ჩვენი ქართულ გაზეთის კეთილი სახელი. **თ**ქვენთვის კი არა ესჩივი.

s. სარქისოვი

adrown

რიაზანის გუბერნიის მიხაილოვის მაზრაში, ყოფილს სახალხო განათლე-ბის მინისტრს ღრაფ ბოლსტოისათვის ერობის ხმოსანობაზე კენჭი უყრიათ. სულ 46 მეკენჭე ყოფილა. ბოლსტოის ამოსვლია 43 შავი და 3 თეთრი...

შინანსთ სამინისტროს თურმე განზრახვა აქვს პენსიების მიცემის რიგის გასაადვილებლად საერთწლო ანგარიშის ფურცლის მაგიერ პენსიონერებს სახუთწლო ანგარიშის ფურცელი მისცეს.

JORWOOD

წვრილი ამბმბი. ვენიდამ გაზეთს გოლოსში იწერებიან შემდეგსა: აქაურს მმართებლობის წრეებში შე-საძლოდ ჰრაცხვენ მეროპის ფლო-ტების დემონსტრაციას ზღეაზედ, თუ ვინიცობაა პორტამ საერთო ნოტა უარ-ჰყო, ან და იმისთანა პასუხი მისცა, რომელიც საქმის "როდინობის კეირასთვის" გადადების მომასწავებე-ლი იქმნება.

სტამბოლიდამ პოლიტიკურს კორრესპონდენციას აცნობებენ: მცირე ბზიიდამ აქ მოსულს ჯარებს ყველას აიარალებენ. სამხედრო მინისტრი ჰქირაობს ინგლისის და სვედის გემებს, რომ რაც შეიძლება მალე გადაიყვანონ ჯარები თესსალიაში momobbob და ტოიკალის მეციხოვნეთა რიცხვის შესამატებლათ . უკანასკნელს სამი კვირის განმავლობაში ოსმალეთს დაეხარჯა 100,000 გირვანქა სტერლინგი მპირსა და თესსალიაში ჯარების, ზარბაზანთა და სამხედრო სამზადისის გაგზავნისათვის. ყოველს გემზე, რომელიც კი ტრიესტში მიდის, ბევრი ალბანიელია სამშობლოში მიმავალნი.

ჩეხურს გაზეთში (ბოჭემიაში) ვკითხულობთ: "თეირანიდამ გეწერენ, რომ თნგლისს სამი მილიონი სპარსული თუმანი შეუძლევია სპარსეთისათვის. სპარსის ზღვის-უბის კიდის პირი ბენდერბუშირის და ბენდერ ბბბარის ნავსადგურებით და ერთი წილი სპარსეთის მიწისა ძოტურის სიმაგრემდი (ბელუჯისტანის სამზღვარზე) მომყიდეო. შთუოდ ამით თნგლისს უნდა მოსამარჯეებელი გზა ჰქონდეს სპარსეთის ზღვის-უბიდამ პანდაარამდე, მაგრამ ამბობენ, რუსეთის გავლენა ამ სურფილს გაუუქმებსო.

372087609720

3ტოვებ ტყის ვაჭრობასა და ამის გამო, რადგან კიდევ დარჩა გაუსაღებელი 5,000 პბრბი მშრბლი ფისპ-რი ფიჭვისა და ნბძმისა 1¹/₂ ვერ-შოკიდამ 1 დიუმამდინ (გოჯამდინ) სისქით, ვყიდი ამ ტყის მასალას და ვისაც ჰსურს შეუძლიან მიმართოს პოლკოვნიკს ბუჭყიევს, ბრსენალის ქუჩაზე, სახლის № 31.

0ეუ მსურველი აღმოჩნდება და ყველა ამ მასალას ერთად იყიდის, თითო ფიცარზე 5⁰/_ა დაუთმობ.

აქვე იყიდება გერცკალური ხეების გადასატანად .

(3-1).

63333AM 636CM

029 734.

თავის პაიმჩიკებს, შემომტანლებს (ეკლადჩიკებს) და საზოგადოთ ყველა ინტერესის მქონე პირთა, რომ რად-განაც საქმე მატულობს ამ სახლის მთავარი კანტორა ამ წლის 1 აგვისტოდამ გადიტანება ბ. ჯაყელის სახლის ზემო სართულში ბანოვის ქუჩის და მრევნის მოედანის კუთხეში. ფულის გასასესხებლად, გადასახადის და შემოსატანის მისაღებად კანტორა გაღებულია საქმის დღეებში დილის 9 საათიდამ შუადღის 2-მდე, კვირაობით 8-დამ დილის 10 საათამდი.

იყიდის 1. და 2 შინაგან მოგებიანს სესხის ბილეთებს და თვითონვე ჰყიდის ამ გვარებს და ფასის გადახდას 12 თვით ადროვებს წვრილ-წვრილად შემოტანით. ბილეთის ამ ნაირად მყიდველს მონაწილეობა ექნება მოგებაში, რომელიც მოსალოდნელია წლის განმავლობაში ერგოს 20 ბილეთებს, რომელიც მოხსენებულია ოთხის ტირაჟის მოწმებაებში. იყიდის രാ മാദ്യാരവ പ്രാനർന პირთა მონდობილობით ყოველგვარ უძრავ ქონებას. მიილებს საკომმისიო და გასაყიდად: საქონელს და მასალას. ჰყიდის - word of the sample of the month of the conderბისაზე, დუქნების და ცარიელ ადგილების გაქირავებაზე.

შესანახავად შეტანილს ფულზე აძლევს პირობის გამოცვლამდის:

1) შენახვის ანგარიშით და მოთხოვ-ნამდის — — — $-4^{1}|_{2}{}^{0}|_{0}$

30mm 300 41/20/0

2) 3ალით შენახვაზედ. 6 თვით $5^{1}|_{2}$ % 9 თვით $6^{1}/_{2}$ %

3) საგანგებო პირობით შესანახავად შემოტანილს ფულზე 1 ხარისხის პა-იშჩიკებს ამხანაგობისას — — 9°|。

3ექსილით ფულის გასესხების დროს უწყებულ პირთა თავდებით ახდევინებს თვე-და-თვე გადასახ. სესხზე—-10°ს

ძვირ-კვირაობით — — — 9°\/

დააწვრილებითი ცნობა და ახსნა
მსურეელთ შეუძლიანთ მიიღონ ყო-

ველ დღე კანტორის გამგესთან.

სამზღგარ-გარეთის ყოველ-გგარ საგაწრო სახლებთან პირადად ნაცნობობამ და პირდაპირის კაგშირის ქონებამ, შეგგამლებინა დაგგეწყო ქ. ქუთაისში გაწრობა

60370603

ᲡᲐᲛᲖᲦᲛᲐᲠ ᲒᲐᲠᲔ-ᲗᲔᲚ ᲛᲝᲓᲘᲡ ᲡᲐ-ᲥᲝᲜᲚᲘᲡᲐ

NOUVEAUTÉS FARISI-ÉNNES'-ob

வு வர் செவ

3აცნობებთ რა ამას აქაურს პატივ ცემულს საზოგადოებას, ვიმედეულობთ, რომ ის არ დაგეტოვებს უყურადღებოთ და ღირს გეყოფს მოგემართოს საჭიროებისა-მებრ.

ჩვენის საშუალობით შეიძლება სამზღვარ გარეთიდამ ყოგელ-გგარ მაშინების, ავეჯეულების, ფორტეპიანოთა და სხვ. ნიეთების დაბარება.

ჩვენი მალაზია არის ბიმნაზიის და სათავადო ქუჩების კუთხეში, ბულვარის პირდაპირ საკუთარს სახლში.

ogsba bogmesda Baceadoonyoo.

TUBURUE 19RT

9419E91769UCU

წყლის პირას, სივრცით 25 **Დესია- ©06ა3Დ06**, რომლის ფასი არ აღემა-ტებოდეს 3,000 მანეთს და რომელიც ოც ვერსტზე შორს არ იმყოფებო-დეს **0**0ბილისიდამ.

მისაც აქვს ამ გვარი გასაყიდი მამული, ვთხოვ მაცნობოს ამ ადრესით:

თბილისს, სასახლის ქუჩაზე, ხარაროვის მალაზიაში.

ട. ഏടർടത്രെ വിദ്യാത്രം.

(4-

300000000 78M000000

თმებისათვის 1 მ. 50-დამ და ცხენებისათვის 1 მ. 75-დამ; ყვავილები
სახურავებით 2 მანეთიდამ; სარმევე
30 კაპ.; რუმკები 5 კ.-დამ; ფილტრები (წყლის დასაწმენდი) 3 მ-დამ და
ვედრები 1 მან-დამ; თეფშები 2 მ-დამ
ინიდუყ; შოკოლადის კანფეთები 20

j-დამ თითო ყუთი და სხგ. 068ლ0სუგს მაღაციაში.

(100-25)

973W 39EUF

ოლეოგრაფიული სურათები იყიდება Usbadsajoo) 6 delgonosed 20-deg சிகையிற்ற பினிக்கும் நூற்றைக்கை வணை 75 კ.; შეკვეთილია შეფფილდში განსაკუთრებით ინკლისურ მაღაზიისთვის საუკეთესო სამართებლები, რწუვილი ბუდეებით ღირს 4 მან.; შეფფილდის დანები ჩანგლებიანათ დუჟინი 2 მ. 75 158 20,000 to 20-056 200 to 850 60 2000 ბრიტანიის მეტალლისაგან 30 კაშეი-3 destantage; gogses 18-08 63აია, ოსმალოს შარბათი და სამწყურsem კვერების ბანქა 70 j.; საუკე-თესო პორტ-გეინი და ხერესი 1 მ. 40 კ ბოთლი, და შამშანიის დვინო ბოთლი 3 256. @s bbg. 0685005066 3050-B0030. (40 - 35)

პბრუს/ნპ, ბუმაზეია, ტრიკო, დრა-პი, ხავერდი მებელისა და ფაეტონე-ბისათვის, უნაგირები, ფოჩტის ქაღალ-დი და სხვ. 30% უფრო იაფად, ვიდ-რე სხვაგან სადმე, ისყიდება ინგლისის მალაზიაში.

მურაბა გემრიელი, კანფეთიბი ყველი, მაგნეზია შერბეთი წყურვი-ლისათვის, ჭურჭლეული, ჩაინიკები, გრაფინები და სხვ. და სხვ. 25% უფ-რო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე ისყიდება ინკლისის მადაზიაში.

პარბოლის პარაშოკი, კარბოლის წყალი და საპონი გადამდებ ავათმყოფობისათვის, მზის საათები დროების საჩვენებლად—ფასი 1 მან.—ინგლისი მადაზიაში.

(40-21)

യാളന്ന് പാട്ര

2590632

ამ თვის ბოლომდის ინგლისის მალაზიაში, არწრუნის ქარგასლაში. ჩულქები, წინდები, ცხვირ-სახოცები, ბარუსინები, სურათები, დუხები, თოფები, რევოლვერები, კლიტენი, ხერხები, დანები. კოვზები, სამწყურვალო
ციტრატ მაგნეზიები და სხ. იყიდება
ეხლა 25% და 50% უფრო იაფად
ვიდრე სხვაგან არის.

(10-6)

Boo! Boo! Boo!

როგორც იქნა ბოლოს მოვიდა ინგლისის მაღაზიაში დიდ-მალი ჩაი პირდა-პირ პლანტატორებისაგან და ისეიდება: 1 მან. 10 კაპ., 1 მან. 20 კაპ.,
1 მ. 40 კ., 1 მ. 60 კ., 1 მ. 80 კ.
და საუკეთესო ჩაი 2 მან. გირგანქა
უქაღალდოთ, ე. ი. 25% უფრო
იაფი და უკეთესი, გიდრე სხვაგაე
სადმე.

სად არის ინკლისის მაღაზია? არწრუნის ქარგასლაში.

(20-20)